

ერთი მხრივ შპს “ურბანიკა” (ს/კ 404493071 მის: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 96, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი მურღულიას სახით (შემდგომში “კომპანია”), ხოლო მეორე მხრივ შპს “გეო-ლოგიკ” (ს/კ 416319656, მის: ქ. რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი 4) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ბახსოლიანის სახით (შემდგომში “შემსრულებელი”) (ცალკე წოდებული “მხარე”, ხოლო ერთობლივად “მხარეები”) აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან მის ტექსტზე შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთის დავალების მიხედვით, შემსრულებელი ვალდებულია იღებს განხორციელოს დაბა სურამის გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით (შემდგომში “სამუშაოები”).

1.2 სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართი N 1-ში, რომელიც ერთვს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. სამუშაოების განხორციელების პირობები

2.1 სამუშაოები შედგება რამოდენიმე ნაწილისგან:

-- საველე სამუშაოები;

-- საოფისე სამუშაოები, დასკვნითი ანგარიშის მომზადება.

2.3 სამუშაოთა განხორციელებისას შემსრულებელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის, გარემოს, შენობა-ნაგებობების, ქონების და სხვა მესამე პირთა უსაფრთხოებას.

2.4 სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ყველა სახის თანხმობას და ნებართვას უზრუნველყოფს დამკვეთი.

2.5 შემსრულებელი თავად უზრუნველყოფს სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო პერსონალს და აღჭურვილობას.

2.6 სამუშაოთა განხორციელებისას დამკვეთი უფლებამოსილია გამოითხოვოს შემსრულებლისაგან ინფორმაცია სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

3. სამუშაოთა განხორციელების ვადები

3.1 მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პერიოდია 2020 წლის 10 მარტიდან 2020 წლის 1 ივლისამდე.

4. სამუშაოთა მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორების პირობები

4.1. სამუშაოების მიღება განხორციელდება ეტაპობრივად და დასრულებულად მიიჩნევა, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი არგუმენტირებული შენიშვნებით დაუბრუნებს შემსრულებელს საბოლოო ანგარიშს, შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული შენიშვნები და არაუგვიანეს შენიშვნების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღისა დაუბრუნოს შესწორებული ანგარიში დამკვეთს.

4.3. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს სამუშაოები შემსრულებლის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ან დაუბრუნოს შენიშვნებით. ამ ვადაში პრეტენზიის წარმოუდგენლობის ან 4.2. პუნქტით განსაზღვრულ შესწორებული ანგარიშის მიღებიდან 5 დღის ვადაში თუ არ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სამუშაოები ითვლება მიღებულად და მოწონებულად.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 17 000 (ჩვიდმეტიათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.5. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, მისი გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. შემსრულებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სამუშაოს ხარისხზე და შედეგებზე.

5.3. პუნქტი 3-ში აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დაარიცხოს შემსრულებელს პირგასამტეხლო პროექტირების თითოეული ეტაპის ჯამური ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.4 კომპანიის მიერ პუნქტი 4.2-ში აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია დაარიცხოს კომპანიას პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5 ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეები დროებით, აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრამდე, თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან. ფორს-მაჟორული გარემოებები დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფო სათანადო ორგანოების მიერ. მიუხედავად ფორს-მაჟორული გარემოებისა, მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ან მისი ნაწილი აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრამდეც.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი შეწყვეტის პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6.2 პუნქტი 3-ში აღნიშნული ვადების კორექტირება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

6.3 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ყველა ის საკითხი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის რეგულირებული გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7.2 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა სახის დავა გადაწყდება მოლაპარაკების და შეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასმართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2 არც ერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს ნაკისრი უფლება-მოვალეობანი მესამე პირებს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

7.3 ყველა დამატება თუ ცვლილება იურიდიული ძალის მქონეა თუ ის შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ;

7.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად, ამასთან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.


8. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი

შპს "ურბანიკა" (ს/კ 404493071)

ირაკლი მურდულია

დირექტორი





შემსრულებელი

შპს "გეო-ლოგიკ" (ს/კ 416319656)

დავით ბახსოლიანი

დირექტორი



გეოლოგიური კვლევა

დაბა სურამის ფარგლებში გეოლოგიური კვლევების განხორციელების მიზნით შესრულდება შემდეგი სახის ფონდური, საველე და კამერალური სამუშაოები:

I. მოსამზადებელი სამუშაოები

1. საკვლევ ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალების მოძიება და შესწავლა.

II. საველე სამუშაოები:

1. სამიზნე არეალის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების და შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავების მიზნით შესრულდება გეოლოგიური აგეგმვა მოწოდებული ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე, შესაბამის მასშტაბში.
 - 1.1 საკვლევ ტერიტორიაზე მოხდება გეოლოგიური საფრთხეების შემცველი ზონების გამოვლენა და იდენტიფიცირება.
 - 1.2 განისაზღვრება გეოლოგიურ ერთეულებს შორის სტრუქტურული და ტექტონიკური კონტაქტების ზონები.
 - 1.3 დადგინდება მეწყრების, ღვარცოფების, დახრამვების და სხვადასხვა გეოდინამიკური პროცესების მდებარეობა.
2. მოხდება საველე კვლევების პროცესის ფოტოილუსტრირება.

III. კამერალური სამუშაოები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადდება შესაბამისი ანგარიში სადაც მოცემული იქნება შემდეგი ინფორმაცია.

1. საკვლევ რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები
2. რელიეფი (გეომორფოლოგია)
3. გეოლოგიური აგებულება
4. სეისმური პირობები
5. ჰიდროგეოლოგიური პირობები
6. გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით

